წელიწადი I. ფასი 1 შაური.

# სამშობლო

ოთხშაბათი 12 აგვისტო 1915 წ.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელ 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე ...ულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 152 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 152

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ციციაძე.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
ორშაბათიდან, 10, 11, 12 და 13 აგვისტოს ახალი პროგრამა
მხოლოდ მოზრდილთათვის.
სენსაცია! შვილები ვანიუშინისა
ი. ი. ნაიდენოვის პიესიდან, დრამა 6 ნაწილათ, მოზჟუხინის მონაწილეობით.
პ ა ტ ე ჟ უ რ ნ ა ლ ი.

ანონსი: 14 აგვისტოს თეატრი დაკეტილია. 15 და 16 აგვისტოს, მხოლოდ ორი დღით ახალი პროგრამა; ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8 — 2 საათამდე და საღამოთი 6 — 8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ დოცენტი
ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

კერძო ექიმი მიხეილ კ ა შ ი ა
კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას დებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვიდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ბებია მ. მ. კ ო ხ რ ე ი ძ ე
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია უფლებებ მოპოებული
მ. ზ. კვინიხიძის
(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).
აცხადებს, რომ მისაღები გამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან, სწავლა კი 1 სექტ. პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე სააკანო განყოფილება, სადაც მიიღებიან სრულიად მოუმზადებელი ბავშვები.

დაიბეჭდა ა. გარსევანიშვილის წიგნაკი
მაია—მათე ყაჩაღათ წოდებული.
იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.

გაზეთი „სამშობლო“ თბილისში
მოიკითხეთ კანტორა „განათლებასა“ და მის დამტარებლებთან. აქვე მიიღება ხელის მოწერაც.
ოლღას ქუჩა, 6.

# ომის დღიური.

კავკასიის ასპარეზზე ეს რამდენიმე ხანია ერთნაირი მოქმედება სწარმოებს, უმეტეს ნაწილათ ბრძოლა უხდებათ მოწინავე რაზმებს; ზოგიერთ ადგილას კი ოსმალონი შეტევას განაგრძობენ. მაგრამ მათი იერიშები უშედეგოთ ბოლოვდება. ოლთისის მიმართულებით ოსმალონი მედგრათ ესროდენ რუსების პოზიციებს არკინს—ახდაგის რაიონში. იერიშით მივიდენ აგრეთვე პასინის ხეობაში, მაგრამ დამარცხდენ. დამარცხებით დამთავრდა აგრეთვე მათი შეტევა აიდარ—მირზაათის ფრონტზე. დანარჩენ ადგილებში ბრძოლა არ ყოფილა.—

აღმოსავლეთის ასპარეზზე, კერძოთ რიგის რაიონში ერთნაირი სიწყნარე ჩამოვარდა. მას შემდეგ რაც გერმანიის ფლოტი საგრძნობლათ დაზარალდა, მათ ხმელეთზედაც შეასუსტეს მოქმედება, რიგის რაიონს გერმანელები დიდს ყურადღებას აქცევენ და ამ რაიონში მჭიდროთ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ზღვაზე და ხმელეთზე მოქმედება. როგორც წინანდელი დეპეშიდან გამოირკვა და დღევანდელიც ადასტურებს გერმანელთა დანაკლის რიგის ყურეში მეტათ საგრძნობია, და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დანაკლისმა ააღებინა მათ ხელი ხმელეთით მოქმედება გააფართოვონ, გააცხოველონ.

კოვნოს აღების შემდეგ გერმანელები მიილტვიან აღმოსავლეთისაკენ და ახლა ვილნოს ემუქრებიან. რუსები აჩერებენ გერმანელთა წინსვლას კოვარსკი, ვილკომირ, კოშედარ, დრუსნიშკის ფრონტზე. ამ ფრონტის სამხრეთით რუსებმა გასწმინდეს ნემანის მარცხენა ნაპირი და გადმოვიდენ ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე.

უფრო მკაცრი ბრძოლა სწარმოებს სამხრეთის რაიონში ბრესტისა და ბელოსტოკის წინააღმდეგ. გერმანელები ლამობენ ამ ქალაქების თავის დავლას. ბელოსტოკის რაიონში გერმანელები თავს უვლიან ბელოსტოკს ბელსკის აღმოსავლეთიდან. ბელსკი მდებარეობს ბრესტობელოსტოკის რკინის გზაზე, ბელოსტოკის სამხრეთით. ვლოდავიდან აღმოსავლეთით ბრძოლა დაიწყო ტბიან რაიონში. გერმანელები ემუქრებიან კოველს, რომელიც ბრესტ—კიევი რკინის გზაზე მდებარეობს.

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

### კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 20 აგვისტო. ოფიციალური კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის პირის რაიონში ჩვენი მზვერავები სახეიროთ მოქმედებდენ. ოლთისის მიმართულებით ოსმალონი ესროდენ ჩვენ პოზიციებს, არკინ-ახდაგის რაიონში. პასინის ხეობაში ოსმალებმა იერიში მოიტანეს რამდენიმე ადგილზე, მაგრამ დიდის ზიანით უკუაქციეთ. მოვიგერიეთ აგრეთვე იერიშები აიდარ-მირზაათისკენ. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 10 აგვისტო. ოფიციალური მთავარ სარდლის შტაბისაგან. გერმანიის ფლოტმა რიგის ყურეში უკანასკნელი ოპერაციის დროს მიღებული ცნობების მიხედვით, დაკარგა ერთი დიდი და ორი მსუბუქი კრეისერი და არა ნაკლები რვა ნაღმოსანი. რიგის რაიონში იაკობშტატის მიმართულებით და დვინსკის დასავლეთით ცვლილება არ მომხდარა. სვენტაზე და აგრეთვე ვილიასა და ნემანის შუა ჩვენი ჯარი ხელს უშლიდა გერმანელთა წინსვლას კოვარსკ-ვილკომირ-კოშედარი-დრუსნიშკის ფრონტზე. სამხრეთით ზოგიერთ ადგილას ჩვენი ჯარი შუა ნემანის მარცხენა ნაპირიდან მარჯვნივ გადავიდა. ბობრსა და ბრესტის რაიონს შუა ჩვენ ვიცავთ ჩვენს პოზიციებს. მტერს მკაცრი იერიშები მოჰქონდა ქვემო ბობრზე შაფრანკის რაიონში, ბელსკის რაიონიდან აღმოსავლეთის მიმართულებით და კლეშჩელი-ვისოკოლიტოვსკის ფრონტზე. ბუგის მარცხენა ნაპირზე ვლოდავის აღმოსავლეთით მტრის იერიშები გრძელდება ტბიან რაიონში პიშჩასთან. საღამოთი მტერმა სცადა იერიშის მოტანა კოველის მიმართულებითაც. გალიციაში ცვლილება არ მომხდარა.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 9 აგვისტო. დღის ოფიც. ცნობა. არტუაში სუშედან ჩრდილოეთით, გერმანელები იერიშის მოტანას ცდილობდენ მცირე ძალებით, მაგრამ იოლად იქნენ მოგერიებულნი. ლაბირინტის რაიონში ბრძოლა გრძელდებოდა სახელდახელო ყუმბარების შეწყობით. რუას რაიონში ორთავე მხრით გაცხარებული საარტილერიო სროლაა. ვოგეზებში მტერმა იერიში მოიტანა ერთ-ერთ ჩვენ პოზიციაზე ზინდერნახის მწვერვალზე, მაგრამ უკუ აგდეს. ამ რაიონში 5 აგვისტოს დაპყრობილ ტერიტორიაზე ჩვენ დავთვალეთ 100-მდე დახოცილი გერმანელი. დანარჩენ პირზე ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი.** 9 აგვ. საღამოს ოფიციალური ცნობა. არტუაში, ნევილის რაიონში და როკლენკურში მტრის ბატარეებმა მოქმედება განაცხოველეს, მაგრამ ჩვენმა ბატარეებმა მარჯვეთ უპასუხეს. გაცხოველებული არტილერიის ბრძოლაა რუას რაიონში, კონოვიერის მაღლობზე, ენის ფრონტზე და რეიმსის გარშემო. არგონში ბრძოლაა ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით, აგრეთვე ვევრში, ფლირის ჩრდილოეთით. ვოგეზში და ფეხტის რაიონში არტილერიის უბრალო ბრძოლაა.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი** 9 აგვ. მთავარ ბინის ოფიც. ცნობა. მონტემაჯიოს რაიონში არსუეროს ჩრდილო-დასავლეთით გუშინ მტრის არტილერია გაშმაგებით ესროდა ჩვენ პოზიციებს. მიუხედავათ ამისა ჩვენ კიდევ უფრო გავაფართოვეთ ჩვენი წარმატება. ჩვენ დავიკავეთ მტრის რამდენიმე სანგარი. წამოვიყვანეთ ტყვეებიც, მათი რიცხვი ჯერ არ არის გამორკვეული. მტერი გავდევნეთ მონტეკრისტალოს კლდეებიდან და გავაფართოვეთ ჩვენი პოზიციები კროსტობუიანვამდი. რიენცის სათავეში მტერმა მოიტანა იერიში, მაგრამ მოვიგერეთ. კორსოში რამდენიმეთ წინ წავიწიეთ, წამოვიყვანეთ ტყვეები, მათ შორის ორი აფიცერი, მტერმა მკაცრი კონტრ იერიში მოიტანა, მაგრამ მყისვე მოვიგერეთ აისოვეცში ჩვენი მფრინავები თავს დაესხენ მტრის აეროდრომს და სამოცამდე ყუმბარა ჩამოყარეს. მფრინავები უვნებლათ დაბრუნდენ უკან.

## ჟურნალ გაზეთებიდან.

### ბალკანეთი.

„ტამს“ კორესპონდენტი ნიშიდან დეპეშით იტყობინება: რადგანაც ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის უთანხმოება მოისპო, მდგომარეობა გამორკვეულათ უნდა ჩაითვალოს. უმაღლეს წრეებში მე დამარწმუნეს, სწერს კორესპონდენტი, რომ საკითხი ეხება მომავალ ახალ შეკრებულობას, რომელიც უფრო ფართო ხასიათისა იქნება, ვიდრე უბრალო საზღვრების შესწორება, ან ტერიტორიის მცირე ნაწილის დათმობა.

### ს ე რ ბ ი ა.

**პარიზი.** ნიშიდან მოსული ამბები გვარწმუნებს, რომ სკუპშჩინა მიიღებს ოთხთა შეთანხმების წინადადებას და ბულგარეთს დაუთმობს მაკედონიის იმ ნაწილს, რომელიც უნდა გადასულიყო მის ხელში 1912 წ. ხელშეკრულობის ძალით. სამაგიეროთ სერბია ფორმალური დაპირებით მიიღებს ოთხთა შეთანხმების დახმარებით ბოსნიასა და ჰერცოგოვინას, დალმაციის სანაპიროს და ხორვატის, თუ უკეთუ ხორვატიის მცხოვრებნი დათანხმდებიან სერბიელებთან შეერთებაზე. ამას გარდა სერბია საბერძნეთის მოსაზღვრეთ დარჩება, რომ საშუალება ჰქონდეს თავისი ნაწარმოები ეგეის ზღვით გაიტანოს.

### საბერძნეთი.

**ათინა.** ვენიზელოსსა და მეფეს შორის პირველი თათბირი, რომელიც სამ საათს გაგრძელდა, მეგობრული ხასიათისა იყო და არც შეხებია გარეშე პოლიტიკის საკითხებს.

მეგობართა შეკითხვაზე—ვენიზელოსმა უპასუხა, რომ ის კმაყოფილია მეფესთან თათბირით, რომელიც მას ხელს არ შეუშლის თავისუფალ მოქმედებაში, მაგრამაო სთქვა ვენიზელოსმა, საეჭვოა, შექმნილმა პირობებმა ხელი შეუწყოს მას ახალი კაბინეტის შედგენაში. მეფისაგან მიცემული დრო კაბინეტის შესადგენათ, ვენიზელოსმა მოახმარა შექმნილ პირობების გაცნობას, დიპლომატიასთან მოლაპარაკებასა და ფინანსიური მდგომარეობის შესწავლას.

ვენიზელისტების პრესა ოპტიმისტურათ უყურებს ამ შეთანხმებას მეფესა და პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენლის შორის.

### ვენიზელოსის კაბინეტი.

„რუსკ. სლოვო“-ში ივ. დნეპროვი სწერს: გადაჭრით შემიძლია დავამტკიცო, რომ ვენიზელოსს დაევალა კაბინეტის შედგენა მეფის დამოუკიდებლათ.

ამ ნაირათ, ოთხთა შეთანხმების უკანასკნელათ შევსებულმა და განმარტებულმა ნოტამ სრულებით ხელი არ შეუშალა ვენიზელოს დაბრუნებოდა მთავრობას. თვითონ ვენიზელოსი იქნება გარეშე საქმეთა სამინისტროს სათავეში. გენერალი დანგლისი მიიღებს სამხედრო მინისტრის პორტფელს; ლიბერალური პარტიის კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი რეპულისი კი შინაგან საქმეთა მინისტრისას.

### დარდანელი.

**ლონდონი.** ვიცე ადმირალი დე რობეკის დეპეშის „ტამეს“-ი სწერს: ყველაზე უფრო საყურადღებო ამ დეპეშაში, ეს—ახალი ჯარის გადასხმაა ბრძოლის ხაზის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც ამ ჟამათ ასე მამაცურათ იბრძვის ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ჯარი. ჩვენს ხელში ახლა არის ისეთი ადგილი, რომელიც დიდათ სასარგებლოა ბრძოლის გაფართოებისათვის საირ-ბაირის მაღლობების ჩრდილოეთით. ჩვენი შეტევა სისწრაფით არ იწარმოებს, ხოლო ყოველ შემთხვევას კი გამოვიყენებთ ბრძოლის გასავითა-

რებლათ. ჩვენ არ უნდა ვიმედოვნდეთ განაგრძოზს „ტაიმს"-ი, რომ დარდანელის ოპერაცია მალე დასრულდეს. ეს ოპერაცია მოითხოვს ინგლისის ერზსაგან, ინდოეთის ჯარისა და მოკავშირეებისაგან მხნეობას, მამაცობასა და მოთმინებას. გერმანელებმა კარგათ იციან, რომ ბრძოლას ბოლომდი განვაგრძობთ. ცნობილი სამხედრო მწერალი კაპიტანი პერიუსი, „ტაიმსს" სტატიის გამო, გერმანელებს სერიოზულათ აფრთხილებს.

„ბრესლაუ".

**ქრისტინაა.** ლონდონიდან დეპეშით იტყობინებიან: ხმებია, რომ ინგლისის წყალქვეშა ნავებმა შეძლეს მარმარილოს ზღვიდან შავ ზღვაში შესვლა და „ბრესლაუს" აფეთქებაო.

### ამბოხება ოსმალეთში.

**სტამბოლი.** ტყვეების გადმოცემით, დარდანელისა და კავკასიის ფრონტზე ოსმალების უშედეგო ბრძოლის გამო მცირე აზიის ბევრ ადგილში ამბოხება მოხდაო. ძველ ოსმალეთა პრაპაგანდამ ფართო ხასიათი მიიღო. პრაპაგანდას ეწევიან ჯარშიაც. გარნიზონები აშკარათ გამოსთქვამენ თავის უკმაყოფილებას და ნაკლებათ ემორჩილებიან გერმანელ აფიცრებს.

### სპარსეთის მთავრობის თხოვნა.

ავსტრო-გერმანიის აგიტაციის გაძლიერების გამო, სპარსეთის მთავრობამ შუამდგომლობით მიმართა ინგლისსა და რუსეთს მისცეს მას საშუალება შეადგინოს ტუზემცებისაგან პოლკები, რომელნიც პირდაპირდ დაემორჩილებიან სპარსეთის სამხედრო მინისტრს. ამასთანავე სპარსეთის მთავრობა სთხოვს გავრცელდეს მორატორიუმი, და დაუბრუნდეს სესხის სახით ვალში გადახდილი ფული. სპარსეთის მთავრობა ირწმუნება, რომ, თუ მისი ეს თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა, მაშინ იგი შესძლებს თავისი ავტორიტეტი აღადგინოს და ბოლო მოუღოს ავსტრო-გერმანიის აგიტაციას.

### გერმანელები ავსტრიაში.

გერმანელებმა ბელგიაში ომის საჭიროებისათვის შვრიისა და ქვავის კონფისკაცია მოახდინეს. მთელი ქვავი ინახება სპეციალურს სამხედრო სასურსათო საწყობებში. მცხოვრებლებს დაუტოვეს მხოლოდ იმდენი, რაც გასაკვებათ და თესლისთვის სჭირდებათ. ვინც ამ სავალდებულო წესს დაარღვევს, მას ჯარიმა გადახდება 5000 ფრანკამდი ან 5 წლით ჩაჯდება ციხეში.

## სანოვაგის სიძვირე და ამის წინააღმდეგ ბრძოლა გერმანიაში.

(დასასრული იხ. „სამშობლო № 151.)

კარგა ხანს იძუნწა გერმანიის მთავრობამაც და იყოყმანა: არ უნდოდა ამ საქმეში ჩარევა და სპეკულიანტების და აგრიბისათვის ეწყენინებია, მათთვის რამე ზიანი მიეყენებია; მაგრამ, როცა დაინახა, რომ ხალხს მოთმინების ფიალა აევსო და მუშებმაც აბობოქრება იწყეს, მაშინ იგი თავის სამინისტროს პირით შემდეგ ნაირათ ალაპარაკდა:

„ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ „უმაღლესი ფასების დაწესების" საწინააღმდეგო აზრი მოკლებული იყვეს საფუძველს, მაგრამ უფრო საფუძვლიანათ მიგვაჩნია ის, რომ დღევანდელი სიძვირე, რაც არათუ მარტო მუშებს, არამედ მთელ ხალხს აღელვებს და მოთმინებას უკარგავს, გამოწვეულია არა მარტო ბუნებრივი პირობებით, არამედ კიდევ უფრო მეტათ- ჩარჩული ხრიკებით არის გაჩენილი. ამიტომ არის, რომ ხალხის თვით შეგნებაც დაჟინებით მოითხოვს, რომ მთავრობა უთუოდ ჩაერიოს ამ საქმეში და ჩვენც აღვიარებთ, რომ ასეთი ჩარევა, თუნდაც ძალიან საეჭვოც იყოს იგი და მცირე ნაყოფის გამომღებიც, დღეს პოლიტიკურ აუცილებლობას შეადგენს".

სწორეთ ამ პოლიტიკურ აუცილებლობას დაემორჩილა გერმანიის მთავრობა და 23 ივლისს კიდეც გამოსცა მან ახალი „სავალდებულო დადგენილება".

ეს დადგენილება ეხება ყოველ გვარ სანოვაგის და ნედლ მასალის როგორც მწარმოებელთ' ისე მოვაჭრეთ. დამნაშავე ისჯება ან ჯარიმის გადახდით 5 ათას მანეთამდე ან და ციხეში დაპატიმრებით ერთ წლამდე.

დამნაშავეთ ჩაითვლება ყველა ის პირი, ვინც მოინდომებს გაყიდოს რაიმე საქონელი იმ განზრახვით, რომ ზედმეტი მოგება ნახოს, ზედმეტ მოგებათ ჩაითვლება 5% ზე მეტათ გასაღება, ე. ი. მანეთზე ერთ შაურის მეტის მოგება. ისჯება ის პირიც, ვინც თავის საჭიროებაზე მეტი სანოვაგე მოიპოვება და არ ყიდის. დამნაშავეთ ითვლებიან აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც რაიმე მოსაზრებით სანოვაგეს სპობენ ან მალავენ, ან რაიმე ხრიკებით მის გაძვირებას ცდილობენ.

თუ მწარმოებელი ან ვაჭარი საქონელს ბაზარზე არ გამოიტანს, მაშინ მთავრობას უფლება ეძლევა ის საქონელი პატრონს ჩამოართვას დაწესებულ ფასის მიზღვევით და ნაწილ-ნაწილათ მიყიდოს მხმარებელთ—ან თვითმართველობის დაწესებულებათა საშუალებით და განსაკუთრებული მოსამსახურე პირების სახელით. პატრონი ამ შემთხვევაში მხოლოდ დაწესებულ ფასს ღებულობს, კითხვას, თუ ვის აქვს ზედმეტი საქონელი ან სანოვაგე და რამდენი,—თვითონ ადმინისტრაცია წყვეტს და თავის გადაწყვეტილების თანახმათ მოქმედობს- ამაზე საჩივრის აღძვრა აღკრძალულია.

ასეთი სასტიკი კანონი გამოსცა გერმანიის მთავრობამ სხვადასხვა ჯურის სპეკულიანტების წინააღმდეგ; ხოლო რაც შეეხება აგრარიებს, მან პირ-იქით მათი მომადლიერებაც კი მოინდომა. ივლისის შუა რიცხვებში ხორცეულობის ფასი უნდა დაეწესებიათ მთელი შემდეგი ნახევარი წლისთვის და აი იქ, ამ კითხვის გადაწყვეტის დროს მთავრობამ აგრარიების დიდი ერთგულება გამოიჩინა. მეურნეობის მინისტრმა, ფონ-შორლემერმა მოითხოვა, რომ ქვავის უმაღლესი ფასი 2 მან. და 20 კაპ. გაეხადათ ფუთზე (წინათ დაწესებული იყო 1 მან. 60 კ.)

პრუსიის მთავრობამ მართლაც დაამზადა ასეთი წინადადება, რომ იგი კავშირის საბჭოს დაემტკიცებაა; მაგრამ მალე გაიგო, რომ მის წინააღმდეგ დიადი საზოგადოებრივი ძალა მხედრდება:

უპირველესად ეს ამბავი ხალხს ამცნო პრესამ; დაუყოვნებლივ აფრინეს სხვადასხვა ქალაქების თვითმართველობებმა ბერლინში საპროტესტო დეპეშები. ყველა ამეებს დაუყოვნებლივ მოჰყვა უფრო ძლიერი, უფრო მედგარი და გადამწყვეტი ხმა, ხმა გერმანიის პროლეტარიატისა.

3 ივლისს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და მუშათა პროფესიონალურ კავშირები ცენტრალურმა გამგეობამ მოწოდება გამოუშვა, რომლითაც გაბედული და გადამწყვეტი შეტევა იწყებოდა მთავრობის წინააღმდეგ; მოწოდება მთავრობას ხალხის რისხვის აფეთქებით ემუქრებოდა და ამის ძალით მოითხოვდა, რომ პურზე დაუყოვნებლივ დაეწიათ ფასი მომატების ნაცვლად და არა თუ მარტო პურზე, არამედ ყოველგვარ სანოვაგეზე და აუცილებელ საჭირო ნივთებზედაც; მოითხოვდა აგრეთვე, რომ სპეკულიაციის წინააღმდეგ მთავრობას კიდევ უფრო სასტიკი და შესაფერი ზომები მიეღო.

მუქარამ და აგიტაციამ მართლა გასჭრა და მთავრობათა კავშირის საბჭომ დაადგინა, რომ ქვავი ახლა იყიდებოდეს ფუთი მხოლოდ მანეთ ნახევრათ.

გერმანიის მთავრობათა კავშირმა ასეთი დადგენილება და „დათმობა" შემდეგი მოსაზრებით დაასაბუთა:

„მთავრობას უნდოდა მემამულეების საჭიროება მხედველობაში მიეღო და ხორბლეულზე მაღალი ფასები დაეწესებია, მაგრამ ის შეაჩერა იმ მოსაზრებამ, რომ ინტერესი ერთი რომელიმე კლასის, თუნდაც დიდათ საყურადღებოსი, უკან უნდა ჩამოდგეს, როცა კითხვა მთელს ეხება".—

დ—ელი.

### თავად იასონ გელოვანის ავადმყოფობა.

ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი იასონ გელოვანი, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან ჩვენის გაზეთიდან, ამ ჟამად მძიმეთ არის ავად, რადგანაც ავადმყოფობას დანით მიღებული პატარა ჭრილობა დაედო მიზეზათ, ფიქრობდნენ, რომ თავადს სისხლი ჰქონდა მოწამლული. სისხლის ანალიზმა გამოარკვია, რომ მოწამვლას ადგილი არ ჰქონდა მიუხედავად ამისა საჭირო იყო აპერაცია, რისთვისაც თბილისიდან მოწვეულ იქნა ცნობილი ხირურგი ბ. როზენბაუმი. ბ. როზენბაუმმა თავადს ოპერაცია გაუკეთა, რაც ავადმყოფმა კარგათ აიტანა. მიუხედავათ იმისა, რომ თავადი მძიმეთ არის ავად, ბ. როზენბაუმი იმ აზრისაა, რომ ავადმყოფი მალე გამოკეთდება, რადგანაც ავადმყოფობა ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს. გუშინ ტემპერატურამ უკლო და ავადმყოფი შედარებით უკეთ გრძნობდა თავს, თავადის ბინაზედ მუდამ დღე მრავალი. პატივისმცემელი და ნაცნობი დაიარება—თუმცა ავადმყოფთან ჯერჯერობით არავის უშვებენ.

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

ჯარში გაწვეულთა დამხმარე კომიტეტმა მიმდინარე თვეს სულ დაარიგა ოთხი ათასი მანეთი.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის განკარგულებით კონსერვების დასამზადებლათ ჯარში გაწვეული იქნებიან ის სახალხო მასწავლებლები რომლებსაც შესწავლილი აქვთ კონსერვების დამზადება. ქუთაისიდან გაგზავნილი იქნება 20 მასწავლებლამდის ელიზავეტპოლის გუბერნიაში. მასწავლებლებს თავის ჯამაგირი ხელ-უხლებლათ დარჩებათ, აქნებათ აგრეთვე დამატებითი ჯამაგირები და ხარჯი. ჯარში ისინი 2 თვეს დარჩებიან. ქუთაისში კონსერვების დამზადების კურსებს კიდევ აგრძელებენ. უმეტესათ უნდა დამზადდეს პამიდორის კონსერვები ჯარის საჭიროებისათვის.

✦ ამ დღეებში ბ. გუბერნატორის ბინაზედ მოხდება კრება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების კრება.

✦ ქუთაისის კომერციული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოების კომიტეტმა უკვე მიიღო სამინისტროსაგან დამტკიცებული წესდება.—წესდება დამტკიცებულია შეუცვლელათ. განზრახულია ეს სასწავლებელი მომავალი სასწავლო წლიდან გაიხსნას.

✦ 14 ავვისტოსათვის დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს წევრთა კრება, რომელზედაც გაიარჩევია შემდეგი საკითხები: 1) განხილვა სოხუმის ქალაქის 1915 წ. ხარჯთაღრიცხვისა და დამტკიცება; 2) საჩივარი ქუთაისის საქალაქო გამგეობის ყოფილ წევრის ს. ქვარიანისა ქუთაისის ქალაქის მოურავის წინააღმდეგ.

✦ ქ. ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოში, რომ მიეცეს ქალაქ ოზურგეთს 10,000 მანეთი ქალაქისათვის სანოვაგის შესაძენათ.

✦ ქალაქის ქიმიური ლაბორატორიის გამგის ი. ტყეშელაშვილის წინადადებით ქუთაისის ფურნეები დაათვალიერა ბაზრის ზედამხედველმა ი. გელოვანმა და სანიტარულმა ფერშალმა ვ. ელენტმა 29 ფურნიდან 28-ში აღმოჩნდა ტალახი და სიბინძურე; 8 ფურნეში მიწის იატაკი; 9 ფურნეს არა აქვს ვიტრინები პურის ჩასაწყობათ; 4) ფურნეში ავათმყოფი მუშები ჰყავთ. 20 ფურნეში კი მუშები ბინძურათ ჩაცმული არიან.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ შუამდგომლობა ქალაქის გამგეობისა შესახებ იმისა, რომ ხაზინიდან ქალაქის გამგეობისათვის მიეცათ სესხი ყველაზე უსაჭიროესი სანოვაგისათვის, განსახილველათ გაგზავნილი იქნება მეფის მოადგილესთან.

---

## 1870—1871 წ.

# პარიზის ალყა.

### შთაბეჭდილებანი და მოგონებანი ფრანცისკ სარსესი.

(იხ. გაზ. „სამშობლოს" 151-ე №-რი).

### ალყის პირველი დღეები.—ზნეობრივი სახე პარიზისა.

პარიზი სამხედრო ბანაკათ გადაიქცა. არ იყო არავინ არც მოხუცი და არც ახალგაზდა, რომელიც არ ჩაწერილიყო ეროვნულ გვარდიაში.

აქ გამოირკვა პარიზის შეუპოვარი, თავგამოდებული სიყვარული დამოუკიდებულებისადმი. მისი პატიოსანი გრძნობა დიდებულებასთან დაახლოვებული, სიგმირე აღსავსე ცბიერი გულკეთილობით,—და ყველა ეს არა ჩვეულებრივი ღირსება-ნაკლულევანობა ერთად შეადგენს პარიზელების ხასიათს. ამ გრძნობებს ზედერთოდა გულკეთილი იუმორი, სალი და ძრიელი სიცოცხლისადმი სიხალისე, რომელიც ჩვენ მემკვიდროებით მივიღეთ ჩვენს წინაპრებ გალებისაგან და რომლითაც აღმოუშლელად აღბეჭდილია ჩვენი მოდგმა.

ყველანი გატაცებით შეუდგენ სამხედრო ვარჯიშობას. პოლიცია არ არსებობდა ამ დროს პარიზში; პარიზელებისაგან ამორჩეულებული სერჟანტების როლს მილიცია ასრულებდა. ეროვნულ გვარდიას მინდობილი ჰქონდა წესრიგის დაცვა. მას ეჭირა ყველა ქუჩის საყარაულო ადგილები. არ ვიცი მათი წყალობით იყო, თუ არა, და ეს კი ნამდვილი ფაქტია—რომ არაოდეს ქურდობა და მკვლელობა ისე შემცირებული არ იყო პარიზში, როგორც იმ ხანებში, თუმცა გენ. ტროშიუმ განკარგულება მოახდინა, რომ გაეძევებინათ პარიზიდან ყველა საეჭვო პირები, ვისაც მუდმივი სამუშაო არა ჰქონდათ.

ეროვნული გვარდიის უმთავრესი მოვალეობა იყო თვალ-ყური ედევნებინა პარიზის სიმაგრეებისათვის, რადგან პირველ დღეებში ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ პრუსიელები ერთს ბედნიერ საღამოს ერთბაშათ დაეტაკებოდენ პარიზს. მიუხედავათ ასეთი მწვავე პერსპექტივისა, ყველანი ჩვეულებრივი მხიარული ბუნებით მიდიოდენ სიმაგრეებისაკენ. სიცივე ჯერ არ დაწყებულიყო და მზე ისევ ბრწყინვალედ ანათებდა. დილა ადრიან თითოეული რაზმი მიჩენილ ადგილზე თავს იყრიდა. ახალგაზდები დილის 7 საათზე, 8 საათზე კი უკვე ყველანი თავმოყრილი იყვენ. სჭიროდათ მხოლოდ წესრიგის შემოღება. აფიცრები ყვირილით დარბოდენ, როგორც იქნა ორ ხაზათ დაეწყვენ და მიიღეს ბილეთები. აქ ნახავდით, როგორც წვერ გათეთრებულთ, ისე უწვერულაშო ახალგაზდათ. სათვალეების სიმრავლე გაუწყებდათ, რომ მათში ბევრი მეცნიერია.

თუმცა მთავრობის განკარგულების ხელში იყო კანონი რომლის ძალითაც შეეძლო გაეწვია 25—35 წლის მამაკაცები და ამ გვარათ შეედგინა ძლიერი ეროვნული გვარდია, მაგრამ ეს კანონი უკუაგდეს და ის ზომები, რომელიც მან შემდეგში მიიღო და რომელზედაც ჩვენ თავის დროზე ვილაპარაკებთ, არ იყო ისეთი, რომელსაც გარემოება მოითხოვდა.

ასეთი სხვა და სხვა შეუფერებელ ელემენტებიდან შემდგარი ბრბო თავის ანაბარათ იყო მიგდებული, მაშინ, როდესაც არაოდეს ფრანგული ეროვნული გვარდია არ იყო დაჩვეული წესრიგის დაცვას და მორჩილებას.

ჩვენ ვიყავით გამსჭვალული პატრიოტული სულით და ყოველთვის კრიტიკას ვუკეთებდით ამა თუ იმ ბრძანებას. ჩვენ თვითონ ვირჩევდით უფროსებს და თუ მოცემული მუშაობა არ მოგვეწონებოდა სრულიადაც არ დავერიდებოდით მის უარყოფას.

ზოგიერთი ბათალიონი უფრო შიშს იწვევდა, ისინი ისეთს თავისუფალ სიტყვებს ხმარობდენ თავის უფროსების მიმართ, რომელიც მომავლისათვის ძრიელ გვაეჭვებდა. იყო შემთხვევა, როცა რომელიმე რაზმი ოლქის უფროს გენერალს დაეტაკა მისთვის, რომ მან სიტყვის დასასრულში იხმარა—„გაუმარჯოს საფრანგეთს", გაუმარჯოს რესპუბლიკას მაგიერ. ამ უწესოებას მთავრობა ცალი თვალით უცქერდა და უსიამოვნების ჩასაქრობათ გენერალი გადაიყვანა.

დილის 11 საათზე მიდიოდენ ბასტიონში, საიდანაც გამოქონდათ ყოველნაირი სანოვაგე. ზოგი სარდაფებსა და რესტორანებს მოედებოდა ხოლმე.

ბოთლი ბოთლზე იცლებოდა, წვეულება წვეულებაზე იმართებოდა.

მხოლოდ ერთს საშუალებას შეეძლო ჩვენი დახსნა, ის—რომ იძულებული გეხადათ ეგ ხალხი მუშაობაზე. სამუშაო კი ბევრი იყო, როგორც მაგალითად: მიწის გადმოტანა, ზანაკების დადგმა, ტვირთის გაძლოლა და სხვა. მაგრამ არავინ არაფერს აკეთებდა. თამაშობდენ ვისტს, პიკეტს. უმრავლესობა მზეზე წამოწოლილი გაზეთებს კითხულობდა, ან ეძინა. გარდა ორი საათი დარაჯობისა არავითარი საქმე არ ჩნდა. როცა წვიმები დაიჭირა და დათოვა, დარაჯობაც უსიამოვნო შეიქნა. სიცივე საგრძნობელი გახდა, ნესტიანი ჰაერი ძვალ რბილში შედიოდა. პირველ ხანებში კი დარაჯობა ძრიელ სასიამოვნო იყო. ეხლაც თვალწინ მიდგია ის მაღლობი, სადაც დამაყენეს სადარაჯოთ. ამ სიმაღლიდან გულის წარმტაცი სანახაობა მოსჩანდა. არავითარი შიში, იმ დროს ჩვენში არ სუფევდა. ახალი ცხოვრება ჩვეულებრივზე ეგრე განსხვავებული, პეიზაჟების სილამაზე, განმარტოვებული სეირნობა მომგვრელი მელანქოლიური ფიქრებისა, ფიზიკური მხნეობა, რომელსაც ყოველთვის გაგრძნობინებს გრილი, სუბუქი სეკტემბრის ქარი.—ყველა ეს აღელვებით გიტაცებს ადამიანს და მეც სრულიად ვეძლეოდი ამ ახალ შთაბეჭდილებას განცდას.

მაგონდებოდა ამ დროს უკანასკნელი სახუმარო პიესის კუპლეტი, ოფენბახისა, როცა რევოლიუციიდან გაძევებული მეფე სცენაზე შემოდის და ამბობს:

„ყველა რეგალის ტახტი წამერთვა,
ჩემი სამეფოს დამეხშო კარი,
მაგრამ თითქმის რომ მხიარული ვარ
იმდენი ვნახე გასაოცარი".

დიაღ რომ ვგრძნობდი განსაკუთრებულ კმაყოფილებას, რომ ვნახე ყველა ეს. ეგრეა მოწყობილი ადამიანის შინაგანი ბუნება! რაღაც საიდუმლო კმაყოფილებასა გრძნობ, რომ შენ მოწამე ხარ ისეთი დიადი მოვლენისა, რომლის მზგავსიც არ უნახავს არც ერთს წასულს საუკუნეს; და შეგიძლია სთქვა, რომ იქ მიგიღია, თუნდაც სულ მცირე მონაწილეობა. ისტორიის შექმნა და ასეთი დიადისა,—იშვიათი კმაყოფილებაა.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი მთავრობა ძრიელ ამრავლებდა დარაჯებს. თითქმის ყოველ 15 ნაბიჯზე ახალი სადარაჯო იყო გამართული, რისგამო თითოეული დარაჯი ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობდა და თავის მოვალეობას უწესოთ ასრულებდა.

ღამის თევა თანდათან უფრო მძიმე ხდებოდა. ჰოი, რამდენი სურდო, ბრონხიტი და რევმატიზმი ჩამოვიტანეთ ჩვენ ამ სიმაგრეებში ღამის თევით.

თითოეულ გადახურულში ორი სამი კაცი ვიწექით. დავეყრებოდით ისე, როგორც მოგვიხდებოდა ვის თავი სხვის ბალიშზე ედვა, ვის ფეხები სხვის ზეწარზე. დავბრუნდებოდით თუ არა სადარაჯოდან გაყინული, ხელების ფათურით ვეძებდით სიბნელეში საბანსა და ბალიშს, რომლისგამოც ვინმე მწოლარეს დავეჯახებოდით.

— უკაცრავათ, ბატონო, ეგ საზიზღრობაა! ყვიროდა ერთი, ჩემი ბარგი ვიღაცას წაუღია. ეს ვინ არის სხვის ადგილზე?

— ამ უწესოებას სახელი არა აქვს! ამბობდა მეორე.

— პირდაპირ უსინიდისობაა,—ჩაერეოდა მესამე.

ყველანი, ვინაც კი იწვნენ, მაგრათ ჩასჭიდებდენ ხელს თავის ბალიშებს და სინიდისის დასამშვიდებლათ ხვრინვას ამოუშვებდენ. სიბრაზე თანდათან მატულობდა, სიტყვა უფრო ნათელ გამოხატულობას ღებულობდა.

— სახუმარო აქ არაფერია!

— მთლათ გაყინული ვარ! ჰეი, თქვენ მოწყალეო ხელმწიფევ, ჩემი ადგილი დაგიჭერიათ...

— მე თქვენ გეუბნებით ეგ ჩემი ადგილია! აი, ეშმაკმაც წაგიღოსთ, რამდენჯერ უნდა გავიმეოროთ ერთი და იგივე?

— ინებეთ ახლავე აბრძანება, თორემ აქედან გადაგისვრით!

— ვნახოთ, როგორ გადამისვრით.

— აი, ვნახოთ!

და უკვე ჩხუბი მზათ იყო.

ამ დროს ჩაერეოდა მეზობელი.

— გესმისთ ცოტა წყნარათ, თორემ ყველას გაალვიძებთ ამ თივაზე.

— თქვენ თივა მაინც გაქვთ, მე კი ისეც მომპარეს!

— მე არ მომიპარავს.

ბოლოს ერთი ვინმე მადლიანი წუმწუმას გაკრავს, აინთება სანთელი და დაინახვენ თავისუფალ ტომარას.

— აი, თქვენი ტომარი! დაიყვირებენ ერთხმათ.

— ეს ჩემი არ არის.

— სულ ერთია, წაიღეთ გათავდეს თუ არა ეგ ამბავი. ილაჯ გაწყვეტილი ხელს წაავლებს ტომარს, მაგრამ საქმე ამით არ თავდება. ფიცულობს, რომ მას არ შეუძლია ამ ტომარზე დაძინება.

ორი მოწინააღმდეგე ისევ ჩხუბობენ. ამათ ჩხუბში ვიღაცას ხმა ჩაერევა. ის მღერის მარსელიეზას.

— დამაცადეთ, დამაცადეთ, თუ ამ ბატონებს ყვირილი შეუძლიათ, მე რათ არ უნდა შემეძლოს სიმღერა?

და ისევ ჩხუბი იმართება.

უფრო გონიერები სასეირნოთ გარეთ გადიან. ცა ვარსკვლავებით კაშკაშებს,

✦ 10 აგვისტოს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა სანოვაგის გამნაწილებელი, კომისიის კრება. რომელმაც ქუთაისის ვაჭრებს ვაგონები ამ რიგათ გაუნაწილა: პურის ფქვილისათვის 9 ვაგონი, თივისათვის 9 ვაგონი, ბზესათვის 4 ვაგონი და 5 ვაგონიც სხვადასხვა სანოვაგისათვის.

✦ სანიტარულმა ექიმმა ვ. წერეთელმა და ქალაქის სანიტარმა ვ. ბეჟანიშვილმა უსუფთაობისათვის ოქმები შეუყენა ბალახვანის ქუჩაზე: ივანე სულავას, ფირალოვის შესახვევში ყობო შამუაშვილს, მოშა ბაბალიკაშვილს, მიხ. რიჟინაშვილს, გელათის ქუჩაზე: შაბათა რიჟინაშვილს, სიმონ რიჟინაშვილს, მიხ. თავდიდიშვილს, იოსებ თომჩიაშვილს და სხვას.

✦ რადგანაც ამ ჟამათ ქუთაისიდან იწვევენ ოთხი მაზრის ახალგაზდებს, ლეჩხუმის, შორაპნის, რაჭის და თვით ქუთაისში დიდძალი ხალხია ჩამოსული, მთავრობამ სასტუმროების პატრონებს ღვინის გაყიდვა აუკრძალა, რომ ახალმა ჯარისკაცებმა უწესობა არ ჩაიდინონ.

✦ სეფე ნიკოლოზის ძეს გვანცაძეს დაეკარგა პასპორტი, მიცემული ხონის მამასახლისისაგან № 745. მპოვნელს სთხოვს წარმოადგინოს „სამშობლოს" რედაქციაში.

## საყურადღებო კრება.

3 აგვისტოს, საღამოს, სათ.-აზნ. ბანკის დარბაზში გაიმართა კრება, რომლის მიზანია ქართული სასწავლებლების გახსნა-გავრცელება. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია თ-დი მექი ფალავა და მდივნათ ბ-ნი პეტრე ყიფიანი: თავმჯდომარემ გააცნო საზოგადოებას კრების მოწვევის მიზანი: „განათლების სამინისტროს ახლად გამოცემულ კანონის ძალით,—განმარტა მან—თითოეულ ერს უფლება ეძლევა გახსნას კერძო სასწავლებელი, სადაც ყოველივე საგნები ისწავლებიან ეროვნულ ენაზე, მხოლოდ რუსული ენა, რუსეთის ისტორია და რუსეთის გეოგრაფია კი—სახელმწიფო ენაზე იქნება. ამნაირად, ჩვენც, ქართველებს, უფლება გვაქვს ასეთი ახალი ტიპის სასწავლებელი გავხსნათ და განათლება გავავრცელოთ სამშობლო ენაზე, რაც, რასაკვირველია, ყველა ერისათვის უფრო სახერხისია და ცოდნის შეძენასაც მიეცემა მკვიდრი საფუძველიო და სხ... კრებამ ერთხმად მოიწონა ეს აზრი და შეუდგენ საზოგადოების მოწესრიგებას, რომელსაც სახელათ ეწოდება „სინათლე". საზოგადოებაში ჩაიწერენ წევრებათ ყველა იქ დამსწრენი და შემდეგ შეუდგენ არჩევნებს გამგეობის და სარევიზიო კომისიისა კანდიდატებითურთ. არჩევნები მოხდა ფარული კენჭის ყრით.

ამნაირად, საძირკველი ჩაეყარა ახალ ქართულ საზოგადოება „სინათლე"—ს ჩვენს ქუთაისშიც. საზოგადოების წევრობისათვის დაწესდა წლიური ხუთი მანეთი. კრებაზე წარმოითქვა აზრი საწევრო გადასახადის შემცირებაზე სამი მანეთით, მაგრამ ისევ 5 მან. დარჩა ჯერ-ჯერობით. ასეთი საზოგადოება (განათლება) თბილისშიაც დაარსდა, სადაც უკვე წარმოებს მუშაობა. ამ საზოგადოებამ პირველ მიზნათ დაისახა, როგორც ვიცით, საქალებო სამასწავლებლო სემინარიის დაარსება. ჩვენმა საზოგადოებამ „სინათლემ" პირველ მიზნათ დაისახა ქალთა საშუალო სასწავლებლის დაარსება, სადაც გარდა საერთო განათლების საგნებისა, შეისწავლიან სასოფლო-სამეურნეო ცოდნას, ხელ საქმეს, ჰიგიენას, ბავშების აღზრდას და ყოველივე ზნეობრივ-გონებრივ სიფაქიზეს, რაც შეეფერება ნამდვილ აღმზრდელ დედებს...

უსურვოთ ახალ საზოგადოებას წინსვლა და ბბ. მოთავეებს—მეტი, ენერგიული შრომა.

**აქვს. წიფნარელი.**

## ქალაქის ბიბლიოთეკა

არა ერთხელ დაწერილა გაზეთში ქუთ. ქალაქის ბიბლიოთეკის შესახებ, მაგრამ ჯეროვანი ყურადღება არავის მიუქცევია, განსაკუთრებით კი იმას, ვინც აი მის სვებედს განაგებს.

აგერ ოცდა მეექვსე წელიწადია, რაც ბიბლიოთეკა არსებობს, ხელიდან-ხელში გადადის. ერთი გამგეობა-მეორეს ცვლის და თავს არავინ იწუხებს, რომ გაიგოს რა ავლა-დიდების არის, რა ქონება აქვს, ან რამდენი ჟურნალ-გაზეთი და წიგნი მოიპოება მის წიგნსაცავში? სამწუხაროა ის არის, რომ ბიბლიოთეკის ქონების რაოდენობა ჯერაც აწერილი არაა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ქალაქის გამგეობამ იცის რომ აქვს სამკითხველო, რომლისთვისაც ყოველ წლივ სისტემატიურათ განსაზღვრულ თანხას სდებს. ყავს აგრეთვე საბიბლიოთეკო კომისია ამორჩეული, მხოლოდ მისი არსებობა ქაღალდებზე თუ არის აღნიშნული ფორმალურათ, თორემ მისი მოქმედების შესახებ საზოგადოებამ იმდენათ იცის, რამდენათ მე ჩინური ენის გამეგება რამე. მართალია, ახალი კომისია ამოირჩიეს ბ. იოსებ ოცხელის თავჯდომარეობით და ჩვენ გვეგონა რომ ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდა ახალი კომისია ბიბლიოტეკის საქმეს, მაგრამ აგერ მეორე წელი გადის, და მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ სხდომა, რომელზედაც დაადგინეს, რომ შემოღებულ იქმნეს „კარტოჩნი სისტემა", როგორც ეს დიდს სატახტო ქალაქებში სწარმოებს, გადადებულ იქმნას ამისთვის ორი ათასი მანეთი. შესწყდეს წიგნების გაცემა სამი თვით პირველ ივნისიდან პირველ ეკენისთვემდე. დადგენილება წარდგენილ იქმნა საბჭოს ერთ-ერთი სხდომაზე, როდესაც იხილავდნენ ქალაქის წლიურ ხარჯთაღრიცხვას. ქალაქის გამგეობამ უსახსრობის გამო კომისიის დადგენილება არ დაამტკიცა.

ხმოსნებს საკვირველათ დარჩათ, როცა გაიგეს, რომ სამკითხველოს ქონების რაოდენობა აუწერელია და არ ვიცით რამდენი მანეთის ღირებულებას შეადგენსო. მას აქით ეს დადგენილება დადგენილებათ დარჩა და მის განხორციელებას არა ეშველა რა. ორი თვე უკვე გავიდა მას შემდეგ, რაც ბიბლიოთეკიდან წიგნების გაცემა შეწყვეტილია და ეს იმ დროს, როდესაც მოწაფე სამითვის მაგიერათ წრეულს ხუთ თვეს ისვენებს და უსაქმოთ არის. აი, ამ დროს მოუსპეს მას სულიერი საზრდოო და გაკეთებითაც არაფერი გაუკეთებიათ.

ზრუნვაც ასეთი უნდა საზოგადო საქმეზე!

**მოქალაქე სეფე.**

## პასუხათ ვინმე მღვდელს.

იმერეთის სამღვდელო და საეკლესიო მსახურთ სამარხი კასის შესახებ.

(დასასრული იხ. „სამშობლო" № 151).

ინიციატივა ხსენებული სამარხი კასის გახსნისა იმერეთის სღვდელოების კრებას ეკუთვნის და მხოლოთ ამ სღვდელოების ინტერესს შეადგენს მისი გახსნა-არსებობა. მთავრობის ინტერესი კი არის, რომ იგი სულ არ არსებობდეს, ვინაიდგან მისი არსებობა მუქთა შრომასა და საქმიანობას უმატებს მას. აქედან ლოღიკური დასკვნა გვიკარნახებს, რომ შემცდარია ის აზრი, ვითომც სამარხი კასა, ანუ მისი წესდება, სღვდელოებისათვის თავზე მოეხვიოს მთავრობას. თქვენ კარგათ უნდა გახსოვდესთ, რომ საკითხი სამარხი კასის გახსნაზე აღიძრა სღვდელოების კრებაზე, გარეშე მთავრობის წინადადებისა, და იმავე კრებამ შეიმუშავა პროექტი იმ კასის მოკლე წესდებისა, რომელიც წარდგინდა საქართველო იმერეთის სინოდალურ კანტორაში დასამტკიცებლად. მოგეხსენებათ ისიც, რომ ხშირად სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს პროექტებიც კი არ მტკიცდებიან მთავრობისაგან სრულიად უცვლელად და შეუმუშავებლად—და რა გასაკვირალია, რომ სღვდელოების კრებაზე, უცბათ შეხნებლული პროექტი სამარხი კასის წესდებისა უცვლელად და შეუმუშავებლად არ დამტკიცდა. ამისთანა შემთხვევაში საჭიროა, რომ პროექტის შინაარსი მის სათაურს უდრიდეს და იგი პროექტი არც ერთ თავის მუხლში არ ეწინააღდეგებოდეს საზოგადო კანონებს. თუ ასეთი პირობა არ არის დაცული პროექტში, იგი უცვლელად არ დამტკიცდება. ეს ნაკლი მოუნახეს, სხვათაშორის, სღვდელოებისაგან წარდგენილ წესდებას და შემდეგ შესწორებისა, დაამტკიცეს. შესწორება კი მდგომარეობდა იმაში, რომ სამარხი კასის წევრებათ ჩაითვალეს სღვდელო საეკლესიო მსახურნი, როგორც შტატში მყოფნი, ისე შტატ გარეშენი; მათი ცოლები და საერო უწყების მოსამსახურენი კი კასის მონაწილეობისაგან გამორიცხეს, ვინადგან ამას მოითხოვდა წესდების სათაური, ანუ ზედ წარწერა, რომელიც თვით სღვდელოების კრებისაგან იყო შემუშავებული. ყოველ შემთხვევაში აქ საშიშრო არა არის რა; კასის დამაარსებელ მონაწილეთა კრებას ყოველთვის შეუძლია თავისი კანონიერი სურვილის დაკმაყოფილება მოითხოვოს, რომელი სურვილიც დაკმაყოფილდება კიდეც, რასაკვირველია, იმ წესით, რომელიც თვით კასის წესდებაშია აღნიშნული და არა სღვდელოების ჟურნალის საშუალებით, რომელიც წესდების და კანონის მაგიერობას ვერ გასწევს.

სღვდელოების კრების ჟურნალი 1914 წლისა 1 თებერვლიდგან № 27, სადაც გადაჭრით სწერია: „Уставъ кассы принять"—ცხადათ მოწმობს, მას, რომ ის წესდება, რომლითაც გაიხსნა და მოქმედობს ხსენებული კასა, სღვდელოების კრებისაგან იყო მიღებული. მხოლოდ ამისა გარეშე დადგინდა შუამავლობა მთავრობის წინაშე შესახებ მისა, რომ 1) სამარხი კასის წევრებათ მიღებულნი ყოფილ იყვნენ ადგილობითი საეპარქიო კანცელარიის მოსამსახურენი, 2) კასის მონაწილეობიდან გამოურიცხათ ყოველი სღვდელო და საეკლესიო მსახური, რომელიც კასის წესდების დამტკიცების დღეს სამსახურში აღარ იყო, 3) ნახევარი სამარხი შემწეობისა მიცემადა კასის წევრის ცოლის გარდაცვალების დროს, 4) აგარიში კასისა დაბეჭდილი იყო ცალკე ბროშიურებით, ან [illegible]ნოში და არა საქართველოს საეკლესიო მახარებელში, 5) [illegible]ლება კასის წესდებაში დამტკიცებულ—იყო სინოდალური კანტორისა და ეპისკოპოსის უფლებით, უწმიდეს სინოდში წაუსვლელად. 6) კასის სამართველოს მიეღო თითო შაური თვითეული კასის წევრისაგან თითოეულ გარდაცვალებაზე, საიდგანაც ვითომც, წელიწადში შესდგებოდა მაინც და მაინც 500 მანეთი. მაგრამ ეს შუამდგომლობა, რომელიც უწმიდესი სინოდისაგან დამტკიცებულ და სღვდელოებისაგან მიღებულ კასის წესდების მოქმედებას არ აჩერებდა, მთავრობისგან უყურადღებოთ დარჩა.

რაც შეეხება სამარხი კასის გამგეობას და სარევიზიო კომისიას, ესენიც იმავე სღვდელოების კრებისაგან იყვნენ არჩეულნი და დანიშნულნი, რომელმაც კასის წესდება მიიღო; მაგრამ საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ, სადაც სღვდელოების დადგენილება წარდგინდა, თავისი უკაზით წარსული 1914 წლის $^{8}/_{10}$ ივლისის რიცხვიდან, № 15079, ხსენებული სამარხი კასის გამგეობის და სარევიზიო კომისიის დანიშვნა ამ კასის თავდაპირველად გასახსნელად და მოსაწესრიგებლად დაავალა იმერეთის ღვდელმთავარს, რომლის პირად შეხედულობაზე იყო მიჩემებული ამ გამგეობის წევრების არჩევაც. მიუხედავათ ამისა ყოვლად სამღვდელომ იმერეთისამ ხსენებული კასის გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებათ მათი კანდიდატებითურთ დანიშნა ყველა ისინი, გარდა ერთისა, რომლებიც არჩეულნი იყვნენ უკანასკნელი ეპარქიალური სღვდელოების კრებისაგან. ერთი წევრის თანამდებობა კი და სახელდობ ხაზინადრობა კასისა მისმა მეუფებამ მიანდო იმერეთის საეკლესიო ხაზინადარს. გამგეობა ღრმად დარწმუნებულია, რომ ამ ერთი წევრის ამ რიგათ დანიშვნა მოხთა არა სღვდელოების უფლებათა გასანთავებლად, არამედ საქმის სიადვილისა და უმჯობესობისათვის. გამგეობას შეადგენს 4 წევრი და სამი კანდიდატი, სარევიზიო კომისია კი შედგება სამი წევრისა და სამი კანდიდატისაგან.

აი ამ ცამეტ წევრთა რიცხვში მხოლოდ ერთი ურევია ღვდელმთავრის შეხედულობით არჩეული და დანიშნული, რომელსაც კასის წესდების მეთორმეტე მუხლის ძალით, შეუძლია სულ არასო-

---

ღამე ნათლიანია, სქელს დილის ნისლში მოხუცი დედაკაცები თავისი თხებით მიმოდიან. ისინი ძრიელ იაფათ ყიდიან ცხელ ხახვიან სუპს და შავს ყავას. გადაკრავ საჩქაროთ ერთს ჭიქას და ესალმები ამხანაგებს. „ბრრ! რა სიცივეა დღეს! სინესტე ტანს ზრინავს!... ხომ არ გაგიგონიათ ზარბაზნების ხმა? და სხვა.

საყვირს დაჰკრეს. სამხედრო ბანაკი იღვიძებს. ყველანი გარეთ გამოდიან ნამძინარევი თვალებით და უცნაური ტანისამოსით. ერთს ფართო მუზარადი აცვია და ყალიონით პირში ამაყათ მიდი მოდის. მეორეს წამოუსხამს დიდი საბანი, საიდანაც მარტო თავი მოუჩანს.

შოტლანდიის შალი, ამერიკის რეზინის პალტო, ისპანიურათ მოგდებული პლაშჩი, ყველა ერთად თავ-მოყრილია. ამასთან როგორი სახეები! დაღლილი, უძინარი! ნახევარი საათის შემდეგ ყველანი გამოცოცხლდებიან, დაკრეს თუ არა ბარაბანს მხიარულათ გაუდგენ დიდებული ქალაქის გზას. არაოდეს სამხედრო ინსტრუქციას მეტი პატივი არა ჰქონია და არაოდეს ისე არ გაუმასხრებიათ, როგორც ეროვნული გვარდია. ალყის პირველ დღეებში დაიწყეს ნადირობა პრუსიელ ჯაშუშებზე. უნდა იცნობდეთ პარიზს, რომ გაიგოთ, თუ როგორი უკიდურესობამდე შეუძლია მიაღწიოს რომელიმე აზრმა ამ აჩუხჩუხებულ მცხოვრებთა გულში, რომელთაც მთელი გრძნობა უდუღს და მზათ არი ორთქლივით შხუილით ამოსახეთქათ.

ორი კვირის განმავლობაში ყველანი ჯაშუშებზე ფიქრობდენ ყველგან ჯაშუშები ელანდებოდათ ღ ეს მანია სიგიჟეს უახლოვდებოდა. იჭერდენ ვისაც კი წააწყდებოდენ სულ უბრალო მიზეზისა გამო, ატუსაღებდენ საპატიო პირებს მიიყვანდენ მახლობელ პოლიციის უბანში, სადაც დაამოწმებდენ მათ ვინაობას და შემდეგ ბოდიშით გამოისტუმრებდენ. დაიჭირეს ამხანაგი ლომონი მიუხედავათ მისი გარეგნული შეხედულობის სრული სიმშვიდისა. ამბობდენ, რომ თვით გენერალი ტროშიუ დაატუსაღა საზღვარზე გადასულმა ერთგულობამ ეროვნულ გვარდიისამ, რომელზედაც ბევრს იცინოდენ.

ბრალი მისი, ვინაც ელზასიელი აქცენტით ლაპარაკობდა! მას იმ წამსვე დაიჭერდენ.

ჩვენ სიგიჟეს ეს ერთი კარგი მხარე აქვს, რომ ის ხანმოკლეა და ეს შპიომანიაც მალე გაქრა და თუ ნამდვილ ჯაშუშებს ისე სხვას არავის დევნიდენ. ეგ საზიზღარი არამზადები კი იმ საბაბით, რომ სანოვაგისათვის გადიოდეს პარიზიდან, აავსებდენ ტომრებს ჩვენი გაზეთებით და მიჰქონდათ მტერთან. ამდენ დაჭერილთ შორის იყვნენ, თუ არა პრუსიელებიდან მოსყიდული ჯაშუშები, ნამდვილი გამცემლები—ამის თქმა მიჭირს. ეს კია, რომ გარდა გარტის პროცესისა ამ ჭეშმარიტი ჯაშუშისა, რომელიც დახვრიტეს ალყის წინა დღეებში, არც ერთი სხვა არ დაუსჯიათ. აქედან ცხადია, რომ დატუსაღებულთა წინააღმდეგ დიდი საბუთები არა ჰქონდათ რა.

გარდა ამ ხანმოკლე მანიისა კიდევ სხვა ორი დამახასიათებელი ნიშანი იყო ალყის დღეებისა, რომელმაც ბოლოს ავათმყოფური ხასიათი მიიღო. პირველი—სრული მოწყვეტა პარიზისა, სადაც არავითარი ცნობა არ მოდიოდა. პარიზი, სადაც თავს იყრიდა მთელი მსოფლიოს ამბები და საიდანაც მთელს დედამიწას ეფინებოდა, დღეს ეს პარიზი გარიყული იყო. აქ არ მოდიოდა არც ერთი გაზეთი, არც ერთი კურიერი.

საფოსტო უწყებამ გაგზავნა აგენტები, რომელთაც პრუსსიის საზღვარი უნდა გაევლოთ და მოეტანათ კორესპონდენციები, მაგრამ არც ერთი უკან არ დაბრუნებულა. ელჩებიდან სამმა დასტოვეს პარიზი: ინგლისისამ, ავსტრიისამ და რუსეთისამ. დანარჩენი დარჩა და მიმართეს პრუსსიის უმთავრეს შტაბს, რომ მიეცათ მათთვის საშუალება თავისუფლათ მიმართვისა თავიანთ მთავრობასთან, რაზედაც ბისმარკმა ბრიყულათ უპასუხა, რომ მათ წერილებს გაუშვებენ, მხოლოთ იმ შემთხვევაში როცა ისინი გახსნილი წაკითხული და კანცლერის ბეჭედ დაკრული იქნება. ასეთი თავხედი პასუხი აშკარათ ამტკიცებდა, რომ მას სურდა პარიზის დიდი ციხეთ გადაქცევა. ყველა ამებით ჩვენ გაკვირვებული და აღშფოთებული ვიყავით. შედეგი რომელსაც მტერმა მიაღწია ჩვენს მოფიქრებას აღემატებოდა. რამდენჯერ გვითქვამს, რომ პარიზი არის დიდი ლაბორატორია კაცობრიობის აზროვნებისა და თუ ის თავის მუშაობას შეაჩერებდა ამით მთელი მსოფლიოს მექანიზმი უნდა შეჩერებულიყო. ეხლა კი დადგა დრო, როცა უნდა შევრიგებოდით იმ აზრს, რომ ჩვენ დედამიწის გულს არ წარმოვადგენდით და თუ პარიზი მოსწყდებოდა დანარჩენს ხალხს, დედამიწა ჩვეულებრივ განაგრძობდა თავის გზას მზის გარშემო და კაცობრიობა მოქმედებასა და აზროვნებას. სამწუხარო აღმოჩენა იყო!

ევროპა ღ ამერიკა მშვენივრათ აიტანდა უჩვენობას; ჩვენ კი, ჩვენ მთელი მსოფლიო გვაკლდა და როგორც მეზღვაურნი ზღვაში დაკარგულნი ეგრე ველოდით ჩვენ ცნობას თუ რას შვებოდა დანარჩენი საფრანგეთი? ეს დიდი საჭირო საკითხი იყო, რომელზედაც პასუხი არა გვქონდა.

ალყის წინა დღეებში მთავრობამ გაგზავნა ტურში სამი თავისი წევრი, რომ გამოეწვიათ დეპარტამენტში ენტუზიაზმი, მაგრამ ჩვენ ძრიელ ცოტა იმედი გვქონდა, რომ ისინი შესძლებდენ ამ მძიმე მისსიას. ესინი იყვნენ ორი მოხუცი გლეზ-ბიზუანი და კრემიე ცნობილნი თავიანთი გულწრფელობით, მაგრამ მოხუცებულობით ძალ-ღონე ჩაწყვეტილნი. როგორ უნდა შეესრულებინათ მათ ასეთი დიადი საქმე? ამის იმედი ჩვენ ძრიელ ცოტა გვქონდა!

გვაცნობეს, რომ ტიერი თავისი ვრცელი გამოცდილობით და დიდი ავტორიტეტით გაემგზავრა წინადადებით ევროპის სხვადასხვა კაბინეტებთან; რომ ის ჯერ ლონდონში ჩავა, მერმე პეტროგრადში და იქიდან ვენიდან და ფლორენციიდან დაბრუნდება ტურში.

რა გამოვიდა ამ მოგზაურობიდან? რა შედეგი მოიტანა ჩვენი ელჩის მოლაპარაკებამ? ჩვენ ისე გვიყვარდა სხვადასხვა იმედებით ნუგეშობა, რომ გვრწამდა ევროპიელი კოალიცია ძლევა მოსილ პრუსიის წინააღმდეგ.

განსაკუთრებით დიდი იმედი გვქონდა რუსეთის, ჩვენ ვფიქრობდით, რომ ის ნათლათ ხედავდა თავის ინტერესებს, რომ მას არ შეუძლია არ ეშინოდეს პრუსიის ძლიერების, რომელიც ერთს დღეს მას მოსთხოვს მის ნემეცურ პროვინციებს და თუ რუსეთი უარს ეტყვის ის ძალით გამოსტაცებს მას. ჩვენ ვფიქრობდით, რომ კავშირი კიდეც უნდა მომხდარიყო ჩვენსა და რუსეთს შუა და ვანგარიშობდით თუ რამდენი დრო დასჭირდებოდა რუსეთის ჯარს ბერლინში მისაღწევათ, რომ ჩვენს მტრებს მიებრუნებინა თავისი ჯარი ახალი მოწინააღმდეგეს მიმართ. და როგორი იყო ჩვენი აღშფოთება, როცა ყველა ამეებზე არაფრის გაგება არ შეგვეძლო.

ამას გრდა, თითოეულს ჩვენგანს კერძო მწუხარება გვქონდა და ეს ყველაზე უფრო სასტიკი იყო. ჩვენ გავაგზავნეთ ჩვენი დედები, ცოლები და შვილები ზოგმა საზღვარ გარეთ, ზოგმა ნორმანდიის ნაპირებზე, ბრეტონში, და შიდა საფრანგეთში, ალყას არავინ არ მოელოდა და მათ გავატანეთ მხოლოთ რამოდენიმე დღის საკმარისი ფულები. რა სჭირდათ ეხლა მათ? როგორ ვანუგეშოთ, დავამშვიდოთ ისინი ჩვენს შესახებ?

პარიზელი მასხრობა ყველას ეხებოდა, დასცინოდა ძალდაუტანებელი გესლით ყველაფერს, თვით ალყის დიდს უბედურობასაც, მხოლოთ ამ მწუხარებას კი იგი ყოველთვის პატივსა სცემდა და არ ეხებოდა.

აქ მას ენა უწყდება, რადგან სიცილი ტირილზე გადავიდოდა. პარიზი სავსე იყო ქვრივებით. ღამე როცა სანთელს გამოართმევდენ მეკარეს ეკითხებოდენ:

— წერილი არ მოსულა?

— არა, monsieur, არავითარი წერილი—უპასუხებდა მეკარე.

დიდხანს არ წაიშლება ჩემი ხსოვნიდან ერთი შემთხვევა, როცა მე ვსადილობდი სამ პარიზელებთან, რომელნიც დიდი სკეპტიკები იყვნენ. სადილი ცუდი იყო და ჩვენ ვხუმრობდით, როგორც სადილზე ისე ალყის სისასტიკეზე, საერთოთ ჩვენ ნაძალადევ მხიარულ გუნებაზე ვიყავით. ოთხი ნაბიჯის სიშორით ჩვენზე ცალკე სუფრაზე სადილობდა ერთი მოხუცებული, მის პირდაპირ იჯდა ახალგაზდა ქალი, რომელსაც გვერდით 3—4 წ. ბავში უჯდა. ის ტიკტიკებდა თავისი წლოვანების გულუბრიყობით, დაინახა ჩვენს სუფრაზე მსხალი, თუ არა სთხოვა დედას მიეცა იგი მისთვის. ერთი ჩვენგანი ადგა, მიადგა მათ სუფრას, მოიხადა ბოდიში დედის წინ, ბავშს მსხალი მიაწოდა და აკოცა. როცა ის დაბრუნდა ჩვენთან თვალები ცრემლით სავსე ჰქონდა; თუმცა მის დამალვას გულით სცდილობდა. ჩვენ ოთხივე ავტირდით, დავლუნეთ საინებზე თავი, სიტყვის ამოუღებლათ. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, თუ რა ცოტა მოსაზრება ჰქონდა მთავრობას ამ შემთხვევაში, რა ღარიბი იყო ის რისიმე აღმოჩენაში. ბევრი კარგი სურვილები და არავითარი ორიგინალობა. დიდი ხნის სიგვიანის შემდეგ, მოიფიქრეს ესარგებლათ ჰაერის ბურთით. მათ ვაბამდით წერილებს და ვუშვებდით ბედის ანაბარათ. ეხლაც არ ვიცი რა მოუვიდა მათ და იმ წერილებს, რომელიც მათ მივანდევით.

დიდი ხნის შემდეგ, როგორც იქნა მთავრობამ საფოსტო მტრედების წყალობით მოგვაწოდა მცირე ცნობა, სადაც გადახვეწილ ჩვენი ძვირფასი ხალხისაგან, მაგრამ დიდი არ იყო იმათი რიცხვი, ვინც გაბედნიერა ფრთოსანმა მეფოსტეებმა.

**კატო მიქელაძე.**

(შემდეგი იქნება).

დეს არ დაესწროს გამგეობის სხდომაზე, რადგან ამ უკანასკნელის გახსნისა და წარმოებისათვის საჭიროა მხოლოდ სამი წევრი. ამ ერთი წევრის დანიშვნით ღვდელმთავარს „არავისთვის არავითარი უფლება არ ჩამოურთმევია, არამედ მოიხმარა თავისი კანონიერი უფლება, ვინაიდგან გარდა ზემო მოყვანილ უკაზისა, საზოგადო კანონიც ადგილობითი ღვდელმთავარს ავალებს სღვდელოების დადგენილების დამტკიცებას, შეცვლას და სრულიად გაუქმებას. ამ ნაირად კანონის ძალით ღვდელმთავარს შეეძლო ერთი კი არა, ყველა სღვდელოების კრებისაგან არჩეული წევრები შეეცვალა იმ პირებით, ვისაც უფრო სასარგებლოთ დაინახავდა კასისათვის.

აქედგან ცხადზე უცხადესია, რომ გამგეობის წევრების არჩევაც და დანიშვნაც სრულიად კანონიერი გზით არის ნაწარმოები. გამგეობა არასოდეს სამღვდელოების უფლებას და დამცირებას არ შეხებია. ეს შეუძლებელიც იყო, რადგან თვითონ ამ უფლებით მოქმედობს. მხოლოდ გამგეობას თვით—მნებელობის უფლება არ აქვს; იგი მიუცილებლად უნდა მოქმედებდეს, (და მოქმედებს კიდეც) ისე, როგორც ეს განსაზღვრულია კასის წესდებაში, რომელიც სავალდებულო და ხელუხლებელ კანონს შეადგენს, როგორც გამგეობისათვის, ისე ყოველი კასის წევრისათვის.

თქვენ წერილში აღნიშნულ 600 მანეთს წესდება კასისა არ იხსენიებს. იქ კასის კანცელარიის ხარჯების და სხვა საჭიროებისთვის დადებულია ორი შაური თითოეული ღვდლისაგან, ღვდლის გარდაცვალების დროს და თითო შაური მედავითნესაგან; ხოლო მედავითნის გარდაცვალების დროს ყოველი წევრისგან თითო შაური. ამგვარი წესით შეიძლება წელიწადში სამასი მანეთიც არ შემოვიდეს, შეიძლება ორი და სამი—ექვსასი მანეთიც მოიკრიბოს; ეს დამოკიდებულია მაზე, თუ რომელ წელიწადში, რამდენი ღვდელი და მედავითნე გარდაიცვლება და რამდენი მონაწილე ცყოლება კასას. მართალია სღვდელოების კრებამ კასის კანცელარიისათვის გადადვა თითო შაური თითოეული კასის წევრებისაგან თვითეულ გარდაცვალებაზე, საიდგანაც, როგორც ზევით არის აღნიშნული, ვითომც 600 მანეთი შედგებოდა წელიწადში, მაგრამ ასეთი დადგენილობა სინოდალურმა კანტორამ ვერ დაამტკიცა, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა კასის წესდებას; დაუმტკიცებელი დადგენილობა სღვდელოების კრებისა, როგორც მოგეხსენებათ, ძალასა და მოქმედებაში არ შედის. გამგეობას კი არავითარი იურიდიული ღონე არ ქონდა, კასის წესდება გვერდზე გადაედვა და გაუქმებული დადგენილობისათვის კანონიერი ძალღონე ჩაებერა.

როცა სღვდელოების უფლებას იხსენიებთ, ალბათ სახეში გაქვთ ეპარქიალური კრება სღვდელოებისა და მისი დადგენილებანი. თუ ასეა, ნუ გავიწყდებათ, რომ ეს კრება ცალკე, უღვდელმთავროდ, თავის თავად არც კი არსებობს, იგი დამხმარე ორგანოა ადგილობითი ეპისკოპოსისა, რომლის ნება დაურთველად ვერც კრება მოხდება, ვერც კრების დადგენილება შევა ძალასა და მოქმედებაში. ამ ნაირი დებულება არის დაკანონებული თვით იმ კანონით, რომელმაც სღვდელოებას კრების უფლება მიანიჭა. აქედან თქვენც მიხვდებით, თუ რა ნაირი უფლება ქონია აქ სღვდელობას და ჩაითვლება თუ არა ამ უფლების დარღვევათ, როდესაც სღვდელოების კრების დადგენილობა არ მტკიცდება სისრულეში მოსაყვანად, არამედ იცვლება, ან მთლად უქმდება.

ამით ათავებს გამგეობა თქვენი წერილის პასუხს: ხოლო სამარხი კასის წევრთა კრებას იგი წარუდგენს უფრო ვრცელ და დასაბუთებულ მოხსენებას კასის მდგომარეობაზე, მის სღვდელობისათვის მნიშვნელობაზე და მომავალში, ეხლანდელი, თუ სხვა წესდებით, წარმოების შესახებ. ამასთანავე სამარხი კასის გამგეობა თხოვს პატივცემულ „შინაური საქმეების“ რედაქტორს ეს წერილი მოათავსოს „შინაური საქმეების“ მახლობელ ნომერში არა სა პოლემიკოთ და საკამათოთ, რომელსაც ამ წერილით ათავებს გამგეობა, არამედ, როგორც უტყუარი ცნობა სამარხი კასის საქმეთა მდგომარეობისა.

გამგეობა იმერეთის ეპარქიის სღვდელო და საეკლესიო მსახურთა სამარხი კასისა.

2 აგვ. 1915 წ.

ქ. ქუთაისი.

## დაბა-სოფელი.

**შხივანა** (ქვემო რაჭა). სოფ. შხივანა შესდგება 55-ტი კომლისაგან, მათში ჩვიდმეტი მოსახლე სახელმწიფო გლეხებათ ითვლებიან, დანარჩენი მესაკუთრეთ.

ს. შხივანა მდებარეობს მაღლობ ადგილზე, ირგვლივ შემოზღუდულია თვალ-უწვდენელი ტყით: ფიჭვით და ნაძვით, რომელსაც „შხივანის დაჩას“ უწოდებენ. მართლაც რომ პირველი „სადაჩო“ ადგილია შხივანა ავადმყოფთათვის—განსაკუთრებით ჭლექიანთათვის, მხოლოდ უგზოობა საქმეს აფერხებს. ამ შხივანის დაჩას „იცავენ ტყის მცველები“ რომლებიც თავის თავ-ხედობით ხალხს ზედმეტად ავიწროებენ.

კარგი, სადი ბუნების შვილთ სწავლა-განათლების მისწრაფება თან დაჰყოლიათ; მიუხედავად მცირე-რიცხოვან მცხოვრებლებისა, 1913 წ., ბ. მალაქია სირაძის მეთაურობით, ნება მიეცათ სკოლა აეგოთ. მავე წელიწადს ნოემბრიდან დაინიშნა მასწავლებელი—სასულიერო სემინარიის კურს დასრულებული. დროებით სკოლისთვის შენობა დაუთმო გიგო და ვანო სირაძეებმა, რომელნიც დიდი მადლობის ღირსნი არიან ხელის შეწყობისათვის. სწავლის-დაწყებისთანავე სკოლაში ასამდე ბავშმა მოიყარა თავი. გაჩაღდა სწავლა.

შეუდგენ სოფლელები დიდი და პატარა, საკუთარი შენობის შეძენას სკოლისათვის, სურვილი საქმეთ აქციეს და რამოდენსამე თვის განმავლობაში ორ სართულიანი შენობა ექვსი ოთახითა და ერთი ქცევა მიწით შეიძინეს, რომელიც მრავალ მოზარდ თაობას იზიდავს. რადგანაც ქალთა რიცხვი ბლომათ იყო, 1915 წ. ხელსაქმის მასწავლებელი ქალი დაინიშნა და დღეს ს. შხივანა წასაბაძავათ გახდა სხვა სოფლებისა. აი, მონდომება რას ნიშნავს ოცდაცამეტმა თუთხმეტმა მოსახლემ შესძლო დაეარსებია სკოლა და აეგო მისთვის საკუთარი შენობა, რომელი 4000 მანეთზე მეტად ღირს. არიან სოფლები, რომლებიც ასი-ორასი კომლისაგან შესდგება, მაგრამ სკოლის აშენება ვერ მოუხერხებიათ და თავის ბავშებს ოთხი ვერსის მანძილზე გზავნიან. სასურველია, სხვა სოფლებმაც მიბაძონ შხივანელებს. ამ შემთხვევებში პირველი ადგილი უჭირავს საქმის მოთავეს—მალაქია სირაძეს.

ეხლა როგორც გავიგეთ თვითონ მალაქია სირაძე და შხივანის სოფლის მცხოვრებლები: ერმია დავლიანიძე, სვიმონ, იოსებ და მღ. გიორგი სირაძენი სწირავენ შხივანლის სკოლას 50 მ. თვითეული, რაც დიდ დახმარებათ ჩაითვლება სოფლელებისთვის ამ გაჭირვებულ წელიწადს.

შხივანაში წელს ძალიან გააფუჭა მოსავალი და დახოცა ფუტკარი სეტყვამ, რომელიც ნახევარი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ მოდიოდა. სეტყვა სამი ვერშოკის სიმაღლეზე დასდო, რომელიც მეორე დღესაც არ გამდნარა.

**რამიო შვ—ძე.**

**ს. ჩიხა.** (საჩხერის რაიონი) ეს სოფელი დაშორებულია საჩხერეზე 2 ვერსის მანძილზე. სოფელი მთა გორაკიანი და ბუნების მხრით უხვათ არის დაჯილდოებული. მცხოვრებლები უმეტესათ მევენახეობას მისდევენ. გლეხს ვერ შეხვდებით 3-მი ან 4 ხი ქცევა ვენახი არ ქონდეს გაშენებული. აყენებენ მშვენიერ ღვინოს, რომელიც გააქვთ სხვადასხვა ადგილს გასაყიდათ. სწავლა განათლების მხრით ეს სოფელი ჩამორჩენილია. აქ არ არსებობს არავითარი კულტურული დაწესებულება: არც სამკითხველო და არც სასწავლებელი, რაც ძლიერ საჭიროა აქაურ მცხოვრებთათვის. ამას წინათ აღიძრა საკითხი ორ კლასიანი შკოლის დაარსების შესახებ, მაგრამ ყველამ უარი განაცხადა. სწორეთ გასაკვირია ხალხის უარი სკოლის დაარსებაზე, მით უმეტეს, რომ აქ საკმაო რიცხვი მოიძებნება ინტელიგენტებისა, ნუ თუ მათ იმდენი გავლენა ვერ იქონიეს ხალხზე, რომ ამ სიმპატიურ საქმეზე უარი არ ეთქვა მათ?

არ ცპატიებათ ამ სოფლის მოწინავე პირებს ასეთი გულ გრილობა სკოლისადმი.

**შალიკო ხვადაგუნელი**

## ლეჩხუმი.

საზოგადოთ, როგორც მკითხველს საზოგადოებას მოეხსენება, ლეჩხუმი ერთ ჩამორჩენილ კუთხეთ ითვლება და, ჩვენ და სავალალოთ, მართალიც არის.

ან რა გასაკვირია, რომ ეს ასედაც იყოს, რადგანაც ჩვენში იშვიათად მოიძებნება ისეთი ვინმე, რომ თავის კუთხეს ყურადღება მიაქციოს. ყურის მგდებელი და გულშემატკივარი რომ ვინმე გააჩნდეს ჩვენ მაზრას, განა შეიძლება ასეთი უსამართლობა და ბოროტება რაც აქ ხდება? აიღეთ მაგალითად ომში გაწვეულთა ოჯახები. როგორც მოგეხსენებათ, მათ დანიშნული აქვთ რაღაც ორი ოდე კაპიკი და ამ საწყლებს ამასაც შუაზე უყოფენ სოფლის მოხელეები.

ამას თავი დაანებეთ, აქაური სოფლის ჩარჩი ვაჭრები საწყალ ხალხს ტყავს ართმევენ. მაგალითად, გირვანქა შაქარს ათ შაურათ ყიდიან, ნავთს—სამ შაურათ. მათ შაქარი გირვანქა ხუთ შაურათ უზის.

როგორც სულ ყველგან, ლეჩხუმშიაც ამ ბოლო დროს მეტათ გავრცელდა შიმშილობა. ისეთ სოფელს ვერ ნახავთ, რომ დამშეულთა საცოდაობამ გული არ შეგიწუხოსთ. ამასთან ამ წყალდიდობამ მთლად უმწეო მდგომარეობაში ჩააგდო საცოდავი სოფლელები: სიმშილს უსახლკარობაც ზედ დაერთო და ილაჯ მიხდილი ხალხი საშველათ ხელს იშვერს. აი სწორედ ასეთ გაჭივრების დროს, როდესაც ხალხი დახმარებას მოითხოვს, ზოგიერთი ჩვენებური მღვდელი და მედავითნე დახმარების მაგივრათ ხალხს ეგზეკუციას უყენებს სახლში დრამის ფულისათვის.

12 ივლისს, სოფელ უცერის ეკლესიაზე მამასახლისმა ყრილობა შეყარა. ხალხს ეგონა, დაზარალებულები ვართ ამ წყალდიდობიდან და იქნება რამე დახმარებას გვპირობენო, მაგრამ, მათდა საუბედუროთ, მამასახლისმა გამოუცხადა ხალხს: თქვენმა მღვდელმა მოწერილობა მომიტანა მაზრის უფროსისგან, რომ თქვენ დრამის ფული დაუყოვნებლივ უნდა გადაიხადოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეგზეკუციას ჩაგიყენებთო. ამ ამბავმა ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

ილაჯ-გაწყვეტილმა სოფლელებმა მღვდელსა და მედავითნეს თხოვნით მიმართეს, რათა ედროვებიათ ფული ცოტა ხანს, მაგრამ „პატიოსანმა მღვდელმა“ ცივი უარით გამოისტუმრა მთხოვნელები.

რადგანაც სოფლელებმა ვერ შესძლეს ამ ფულების გადახდა, ამისათვის მამასახლისი ორი თავისი ქმოადგილით ჩამდგარია სოფელ უცერაში და ისედაც ძვალ-ტყავათ ქცეულ ხალხს არბევენ და ატუსაღებენ.

ასეთი უბედურება და უსამართლობა თითოეულ ფეხის ნაბიჯზე ხდება ჩვენში, მაგრამ ვინ არის მშველელი.

**დაღონებული.**

## ღია წერილი

**პასუხად ბ. კირილე მოსეშვილს.**

ბატონო კირილე! წავიკითხე თქვენი ღია წერილი, მოთავსებული გაზ. „სამშობლოს“ 122 ე ნომერში, რომელიც ბრალს მდებს თქვენი საჩივრის გამო მეპურე ჯალაღანიას თქმის შეუენების თაობაზე როგორც სჩანს თქვენი წერილიდან, მე ის საქმე უნდა დამეხუროს და შინაურულად გამეთავებოს მასთან. სწორეთ უნდა გითხრა, ბ. კირილე, გზაში რომ შეგხვდე, ვერ გიცნობთ და ის საქმეც დამავიწყდა ამდენი ხნის განმავლობაში, მაგრამ მე ის მაკვირვებს, რადა დაბალი ღობე მე მნახე, რომ ყოველივე შინაარსის გაუგებლად ჩემზე გამოილაშქრე?! როგორც ლაპარაკობთ, ორი გენერალური ბრძოლა გათავდა გალიციაშიო და ამ საქმის დაბოლოებას არაფერი საშველი მიეცაო. ორი გენერალური კი არა, ათიც რომ გათავებულიყო, შენ მაინც ვერას გაიგებდი, რადგანაც გალიციიდან გეტყობათ ტყვეთ უოფილხართ წაყვანილი, ახლა კი შეგიძლიანთ მიმართოთ საბოქაულო განყოფილებაში და იქ მიიღებთ ცნობას, რითაც მე თქვენ ფიცხელ მოთხოვნილებას ვასრულებ, რომ ორი დღის განმავლობაში პასუხი მომეცა თქვენთვის. ეხლა მე თქვენ პირიქით ორი დღე კი არა, ერთი კვირის ვადას გაძლევთ რომ ჩემთან საზოგადოთ ბოდიში მოითხოვოთ, გაზეთის საშვალებით წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს წესით მოგეთხოვებათ პასუხი.

**სამსონ ჩიქოვანი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ამ წერილს დაუთმოთ ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთში.

„თანამედროვე აზრის“ №-128 ში მოთავსებულია წერილი ბატ. კ—ს, რომელიც ეხება ქუთაისის ნოქრების ცხოვრებას და კიდევ ი. გოკიელოვის შვილებს ნოქრებსაც, რომლებსაც უკიჟინებს უკულტურობას, ქეიფობას და კარტ ნარდის თამაშს. როგორც წერილიდან სჩანს, ბატ. კ—ს წერილი პირად ინტერესებით არის გაჟღენთილი, თორემ ასეთ სიცრუეს არ მოჰყვებოდა, მართალია, იქნებ მასავით არ დავდიოდეთ ქალაქის ბაღში, არ ვეჩხირებოდეთ მაყურებელთ თვალში და ბუზსავით არ გავიძახოდეთ „ჩვენც ვხნავდითო“, მაგრამ საერთო საქმეში ჩვენც შეგვიტანია ცოტა წვლილი. კარტ ნარდის თამაშში შეიძლება თვითონ უფრო იყოს დახელოვნებული, ვიდრე ჩვენ და მიხთვისვე დაგვიღოცია. როგორც სჩანს, ბატ. კ. ნაკლებათ უკვირდება ქუთ. ნოქრების ცხოვრებას, თორემ არ გვიკიჟინებდა გაზეთებს არ კითხულობენო, თუმც მასთან არ მივსულვართ გაზეთის სათხოვრათ მაგრამ ჩვენც მოგვდის მაღაზიაში „სამშობლო“ და „სახალხო“ ფურცელი და ვკითხულობთ კიდეც, მაგრამ ბატ. კ. შეიძლება, არც სცნობს ამათ გაზეთებათ? თუ ასეა, მისი ნებაა სწეროს რამდენიც სურს, მხოლოდ უნდა იცოდეს, სიმართლეს უფრო მეტი გასავალი აქვს, ვიდრე ჭორებს.

**ნოქართაგანი.**

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის „სამშობლოს“ საშუალებით, უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ს. შროშის უფასო წიგნსაცავ სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტის სახელით იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ზემოხსენებულ წიგნსაცავ სამკითხველოს შემოწირეს წიგნები და ნივთები. აქვე მოგვყავს შემომწირველთა სიაც:

ბაბუცა მჭედლიძემ შემოსწირა 29 ცალი წიგნი ღირებულ 7 მ. ქართველთა შ. წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილებამ 1 ცალი წიგნი 1 მ. და 1 აბ. ქუთაისის ქართული გიმნაზიამ 4 ც. წიგნი 6 შ. ბ. სილოვან [illegible] 5 ც. წიგნი. რაისა ჩიხლაძემ 1 ც. წიგნი 2 აბ. კოწია ი. ოცხელმა 17 ც. 6 მან. და 2 შ. ქუთაისის ქართული გიმნაზიის ამხანაგობამ 39 ც. წიგნი 1 მან. 36 კ. იასონ გაბილაიამ 1 ც. წიგნი 2 შ. ლევანტი სუხიაშვილმა 6 ც. წიგნი 4 მ. და 17 შ. აკაკი პ შველიძემ 3 ცალი წიგნი 1 მ. და 5 შ. ფლორენტი ი. გველესიანმა 2 ც. წიგნი 1 მ. 43 კ. ბესარიონ ე. დამბაშიძემ 24 ც. წიგნი 4 მ. 32 კ. სერაფიონ თ. გველესიანმა 6 ც. წიგნი 13 შ. კოწია ბ. მახათაძემ 2 ც. წიგნი 1 მ. ვასილ ბიჟანეიშვილმა 24 ც. წიგნი 3 მან 83 კაპ. ისიდორე კვიცარიძემ 40 ც. წიგნი 5 მ. და 6 შ ქართველი მეფეების და მწერლობის სურათები და ომის ქარტები ღირებული 3 მან. სარრა დამბაშიძემ 4. წიგნი 18 შ. ქეთო დამბაშიძემ 3 ც. წიგნი 5 შ. დავით ჟუჟუნაძემ ზარა (კრების დროს სახმარი), და გიორგი გორდაძემ მაგრატელი და დანა სამკითხველოში სახმარნი.

სრული იმედი გვაქვს, ქართველთა შორის მრავალნი აღმოჩნდებიან გულკეთილნი პირნი, რომელნიც წიგნებით და ნივთებით შემწეობას აღმოუჩენენ ჩვენს ახლად დაარსებულს წიგნ-საცავ სამკითხველოს.

მზრუნველი კომიტეტის მონდობილობით კომიტეტის წევრი.

**მღ. კირილე დამბაშიძე.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა“
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა
„განათლება“
ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „სამშობლო“, „თანამედროვე აზრი“, „ემმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკასკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „შმაკი“ და „ხათაბალა“. იყიდება ახლად გამოცემული წიგნი ა ალდონისა „აკაკი და მისი პოეზია“ (რუსულ ენაზე), „სქესობრივი საკითხი და ბავში“ ი. გომართელისა, „მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“—მასლოვისა, „ცხოვრების სიმღერები“—ბეგლარ ახოსპირელისა, „კოოპერატივები იტალიაში“—ნ. ჟორდანიასი. „ჯორ-ზაქარა“—ს. მგალობლიშვილისა, „ერი და ჩვენ“—ანჩინისა, „ჭრელი ლექსები“, „ქართველების გამაჰმადიანება“ და სხვა ახალი წიგნები.
მიიღება ხელის მოწერა იროდიონ ევდოშვილის ლექსთა კრებულზე.
აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ. ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе. კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თ. მთავრიშვილის და ამხ.
წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი
ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,
გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.
თვ.

სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში“) ტყიბულის რკინის გზ. შტოზე.
სამკურნალო აბანო
პ. ვ. ოგოლაძის.
ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან გაიხსნა სეზონი. ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ ქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ-ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხსენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვეა სუფთა ბინები. ხელმისაწვდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება. მატარებელი გადის დილა და შვადღეზე. თ.